ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2452809

ნომერი: AR1379678

თარიღი : 22.02.2016

გაცემის თარიღი : 02.03.2016

გაცნობის თარიღი : 02.03.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ურიცკი , N 26 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ურიცკი , N 24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვახტანგ მახათაძე პ/ნ 01024001980
- თბილისი მაზნიაშვილის ქ. N4

ორგანიზაცია:
- შპს ვაუ კოდი: 406062004

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : N2432718
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 15.02.2016

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციისაგან განსხვავებით ნაწარმოები მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა მოქ. ვ. მახათაძის (თანაგანმცხადებელი ვ. ჯალაღონია) 2016 წლის 22 თებერვლის № AR1379678 განცხადება, რომლითაც ითხოვს ქ. თბილისში, ურიცკის ქ. N26/ურიცკის ქ. N24–ში საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათებისა და საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.

საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.02.2016 წლის №2418224 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – ჩუღურეთი), ურიცკის ქ. N26/ურიცკის ქ. N24–ში შპს "ვაუ"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი; 15.02.2016 წლის №2432718 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა დასანებართვო მოწმობა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ურიცკის ქ. N26/ურიცკის ქ. N24–ში სამშენებლო სამუშაოების შემოწმებისას დადგინდა დარღვევები, რის გამოც 2016 წლის 18 თებერვალს №ბ-50997/07 ბრძანებით მოქ. ვ. ჯალაღონიას უარი ეთქვა საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე.

წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ფოტოსურათებისა და განმარტებითი ბარათის განხილვის შედეგად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 62–ე მუხლის პირველი პუნქტის "პ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ადასტურებს განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მის დასაშვებობას.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.